დამტკიცებულია :

სსიპ კოლეჯის ,,ოპიზარი“ დირექტორის

ბრძანებით # 56 13/06/2019 წელი

შესულია ცვლილება:ბრძანებით N15 07/03/2022 წელი

სსიპ კოლეჯ „ოპიზარის” წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ (შემდგომში - „კოლეჯი“) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი არეგულირებს კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა, დასაქმებულთა და კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფი ვიზიტორების მიერ წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს.

2.კოლეჯი უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის მიზნით უზრუნველყოფს:

ა) კოლეჯის ქონების დაცვას;

ბ) კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფი პირების უსაფრთხოების უზრუნველყოფას;

გ) პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას კოლეჯის ტერიტორიაზე (შენობაში, ეზოში) მყოფი ნებისმიერი პირისათვის, რომელიც საჭიროებს აღნიშნულ დახმარებას;

დ) კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფი შშმ პროფესიული სტუდენტების/მსმენელების დახმარებას გადაადგილების დროს (საჭიროების შემთხვევაში);

ე) საჭიროების შემთხვევაში შენობაში მყოფთა ევაკუაციას;

მუხლი 2. უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები

1.წესრიგის და უსაფრთხოების დაცვის მიზნით კოლეჯს ემსახურება სადღეღამისო ცვლაში დასაქმებული ოთხი დარაჯი, რომლებიც უზრუნველყოფენ კოლეჯის პერიმეტრის შემოვლას, დათვალიერებას და უწესრიგობის გამოვლენის შემთხვევაშ დროულ რეაგირებას;

2. უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნით კოლეჯის შენობაში თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული საევაკუაციო გეგმა, (რომლის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება შენობის უსაფრთხოდ დატოვება), წესრიგის დაცვის სხვა მანიშნებლები;

3. კოლეჯი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით და ინვენტარით (ცეცხლმაქრები), მისი გამოყენების ინსტრუქცია გამოკრულია აღნიშნულ ინვენტართან;

4. იდენტიფიცირებულია პირი/პირები, რომელიც პასუხისმგებელია წესრიგის დაცვაზე;

5. კოლეჯი აღჭურვილია თანამედროვე ვიდეოსათვალთვალო კამერებით, რომლითაც ხორციელდება კოლეჯის შენობის და ეზოს პერიმეტრის კონტროლი(გარდა ადმინისტრაციული კაბინეტების, აუდიტორიების, სანიტარული კვანძების და დამხმარე

სათავსოების). უსაფრთხოების კამერების სისტემა უზრუნველყოფს ვიდეოჩანაწერის შენახვას;

6. საგანგებო ვითარების დროს პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან 112 - ზე დარეკვით გამოიძახონ შესაბამისი სამსახურები (სახანძრო, და სხვ.);

მუხლი 3. დასკვნითი დებულებანი

1. წინამდებარე წესის დამტკიცება, ძალადაკარგულად გამოცხადება, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.